

ქ.ქუთაისში, ადგილობრივ საქალაქო რეგულარულ
სამგზავრო გადაყვანაზე ნებართვის მაძიებელთაგან კონკურსში
მონაწილეობისათვის განცხადებების მიღების შესახებ

„ქ.ქუთაისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M₁, M₂ და M₃ კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის საკრებულოს 2011 წლის 14 მარტის №100, „თვითმმართველი ქალაქის-ქუთაისის საკრებულოს 2008 წლის 27 თებერვლის №145 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ქალაქ ქუთაისში მოქმედი სამგზავრო-სატრანსპორტო სქემების დამტკიცების შესახებ“ ქ. ქუთაისის საკრებულოს 2009 წლის 25 ივნისის №216 დადგენილებებისა და „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ და „პ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს, ქ.ქუთაისში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M₂ კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების №31^ა მარშრუტზე ნებართვის მისაღებად, კონკურსში მონაწილეობისათვის განცხადებების მიღების პირობები /დანართი ერთვის/.
2. განცხადებების მიღებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ქ.ქუთაისის მერიის ტრანსპორტის სამსახურის მთავარი სპეციალისტი დავით კვიციანი.
3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე დ.ანდლულაძემ.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი №3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

გ.თევდორაძე

ქ. ქუთაისის მერის 2011 წ.
№ ბრძანების
დანართი

ქ.ქუთაისში ადგილობრივ საქალაქო რეგულარულ
სამგზავრო გადაყვანაზე ნებართვის მისაღებად კონკურსში
მონაწილეობისათვის განცხადებების მიღების შესახებ

ქ.ქუთაისის საკრებულოს 2011 წლის 14 მარტის №100 და 2009 წლის 25 ივნისის №216 დადგენილებების მოთხოვნების შესაბამისად, ქ.ქუთაისში ცხადდება ადგილობრივი

საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მისაღებად, კონკურსში მონაწილეობისათვის განცხადებების მიღება.

ნებართვის მაძიებელთა განცხადებები კონკურსში მონაწილეობაზე მიიღება ქ.ქუთაისის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში, რუსთაველის გამზირი №3, ქ.ქუთაისის მერიის ტრანსპორტის სამსახურში, ოთახი №3. განცხადებების მიღებაზე პასუხისმგებელი პირია ქ.ქუთაისის მერიის ტრანსპორტის სამსახურის მთავარი სპეციალისტი დავით კვიციანი /მობილური ტელეფონი: 895 30 62 19, სამსახურის ტელეფონი: 4 31 73/.

განცხადება უნდა პასუხობდეს ქ. ქუთაისის საკრებულოს 2011 წლის 14 მარტის №100 დადგენილებით დამტკიცებული „ქ.ქუთაისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M₁, M₂ და M₃ კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის“ მე-6 მუხლის მოთხოვნებს. განცხადებები მიიღება ქ.ქუთაისის საკრებულოს 2009 წლის 25 ივნისის №216 დადგენილებით დამტკიცებულ M₂ კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების №31^ა მარშრუტზე.

№31^ა მარშრუტის სატრანსპორტო სქემის აღწერა:

საფიჩხიის მოედანი-სოლომონ პირველის ქუჩა-თამარ მეფის ქუჩა-აღმაშენებლის მოედანი-ფალიაშვილის ქუჩა-რუსთაველის მოედანი-რუსთაველის გამზირი-ირაკლი აბაშიძის ქუჩა-ბუხაიძის ქუჩა-ჯავახიშვილის ქუჩა-ჯავახიშვილის მოედანი-ბავშვთა საავადმყოფო-ჯავახიშვილის მოედანი-ჯავახიშვილის ქუჩა-ბუხაიძის ქუჩა-ირაკლი აბაშიძის ქუჩა-რუსთაველის გამზირი-რუსთაველის ხიდი-აღმაშენებლის მოედანი-თბილისის ქუჩა-26 მაისის ქუჩა-საფიჩხიის მოედანი;

№31^ა მარშრუტზე დღის განმავლობაში მგზავრთა რეგულარული გადაყვანა უნდა განხორციელდეს 2 ავტობუსით.

კონკურსზე ნებართვის მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს ყოველდღიურად მომუშავე 2 ავტობუსი, ხოლო მინიმუმ 1 სარეზერვო.

მარშრუტზე მუშაობის ხანგრძლივობა ზამთრის პერიოდში შეადგენს 7⁰⁰...22⁰⁰ საათამდე, ზაფხულის პერიოდში 6³⁰...23⁰⁰ საათამდე.

განცხადებების მიღება ხდება სამუშაო დღეებში დილის 10⁰⁰ საათიდან 13⁰⁰ საათამდე, ქ.ქუთაისის მერის ბრძანების გაზეთში გამოქვეყნებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში.

კონკურსი ჩატარდება 2011 წლის 30 მაისს 12⁰⁰ სთ-ზე. ავტოსატრანსპორტო საშუალებების დათვალიერება განხორციელდება ნებართვის მაძიებლის სარგებლობაში მყოფ ავტოსატრანსპორტო ბაზის ტერიტორიაზე.

კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება 2011 წლის 2 ივნისს.

ნებართვის გაცემის ფასი ერთ თვეზე გაანგარიშებით შეადგენს 260 ლარს.

ქალაქ ქუთაისის მერი

გ.თევდორაძე